საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-08/14427
14/09/2022

14427-2-08-2-202209141540

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ანხორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთ (E-60) ზემო ოსიაური - ჩუმათელეთის ავტომაგისტრალის მონაკვეთის მოდერნიზება/მშენებლობას. აღნიშნული საავტომობილო გზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტისათვის მომზადებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელზედაც 2020 წლის 26 ნოემბერი გაცემულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-1093 ბრძანება. აღნიშნული გზის მონაკვეთის მშენებლობის შეუფერხებლად განხორციელებისთვის სამშენებლო კომპანია „Sinohydro Corporation Limited"-მა დამატებით მოიძია ტერიტორია გამოუსადეგარი გრუნტის დასაწყობებისთვის (ს/კ N69.04.52.820), რაზეც მიიღო თანხმობა სსიპ - ქონების ეროვნული სააგენტოსგან (იხ. სკრინინგის ანგარიშის მე-2 დანართი) იჯარით აღებასთან დაკავშირებით. ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სკრინინგის ანგარიშს მე-3 დანართად ახლავს ადგილობრივ მოსახლეობასთან შეთანხმება გამოუსადეგარი გრუნტის დასაწყობებასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს შესაბამისად, სკრინინგის პროცედურისთვის, ელექტრონული სახით გიგზავნით, სათანადო ინფორმაციას და გთხოვთ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და მოგვაწოდოთ თქვენი გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მომზადების საჭიროებასთან დაკავშირებით.

დანართი: სკრინინგის ანგარიში და shp ფაილი - ელ. ვერსია;

პატივისცემით,

სალომე წურწუმია

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge